სპორტი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

24 იანვარი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 12 (10 426) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი. ფონდის სახელზე აბრამერეფგბანკის საქართველოს უველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში თანხა შეგიძლიათ ფეიტანოთ

მე-700

ანგარიშზე. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.

სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი: საქართველოს მრეწვმშენგბანკის საოპერაციო სამმართველო სფბ № 521921

00700756

თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.

სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი ეროვნულ ფონდად იქცა!

● **სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს მძღოლობის სასახლის თანამშრომლებმა ეროვნული თავდაცვისა და სამაჩაბლოს აღორძინების ფონდებში გადარიცხეს 500-500 მანეთი (გვაცნობა ა. კაპანაძემ).**

● **გლდანის რაიონში მოქმედი სახალხო მოზმარების საქონლის მწარმოებელი კოოპერატივის „ფანტაზიის“ წევრებმა ორივე ფონდში გადარიცხეს 10 000-10 000 მანეთი (ნ. თუთარაშვილი და სხვანი).**

● **ალექსანდრე გარსევანიშვილმა, შრომის მეორე ჯგუფის ინვალიდმა, სამაჩაბლოს ფონდისათვის გაიღო ოვნული თავდაცვის ფონდში (დე-150 მანეთი, ეროვნული თავდაცვის პეშით). ფონდისათვის — 100.**

ჭიათურა

● **საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“ — 1500 მანეთი ეროვნული თავდაცვის ფონდში, 1000 — სამაჩაბლოს ფონდში (დეპეშით ზ. თაბაგარი).**

ბორჯომი

● **ახალდაბის ეოხახლეობამ შეკრიბა და გადარიცხა: 1000 მანეთი სამაჩაბლოს ფონდში, 1030 — ერ-**

ლაგოდეხი

● **თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხა 20 000 მანეთი (მოდებაძე, დეპეშით).**

● **„თბილაგრომრეწკომიტეტის“ ავტოსატრანსპორტო ხაწარმოს თანამშრომლებმა სამაჩაბლოს აღორძინების ფონდს 1 000 მანეთი შეაბეს (დ. ჭადაგიძე).**

გზა პოლონეთზე გადის

პოლონეთის ჯიუ-ჯიცუს აკადემიის უფროსი მწვრთნელი იოზეფ ლესნინსკი სამჯერ ეწვია საქართველოს და სამჯერვე საკმაოდ ნაყოფიერად გაისარჯა სპორტის ამ ახალი სახეობის ქართველ მოყვარულებისთვის. მან და მისმა თანმხლებმა ჯიუ-ჯიცუს ინსტრუქტორებმა მოაწყვეს საკვალიფიკაციო გამოცდები — ქამრების მინიჭება, სემინარები, დაბოლოს, უკანასკნელი ვიზიტის დროს, საჩვენებელი გამოსვლებიც ჩაატარეს. მაგრამ იოზეფის ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასთან ამით არ ამოწურულა, სულ ახლახან პოლონეთში იმყოფებოდნენ საქართველოს ჯიუ-ჯიცუს წარმომადგენლები, და, ზუსტად იოზეფ ლესნინსკის შუამდგომლობით, საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაციასა და პოლონეთის ამ სახეობის აკადემიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ჩვენი ფედერაცია გახდა ამ აკადემიის სრულუფლებიანი წევრი. თავის მხრივ, პოლონეთის ჯიუ-ჯიცუს აკადემია არის სპორტის ამ სახეობის მსოფლიო ფედერაციის წევრი და, აქედან გამომდინარე, ჩვენი სპორტსმენებიც პოლონელებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას ყველა საერთაშორისო ტურნირში თუ სხვა ღონისძიებებში. პოლონეთის ჯიუ-ჯიცუს აკადემიის „წარმომადგენელთა დახმარება ამით არ ამოწურულა; მისმა ხელმძღვანელობამ შუამდგომლობა გაუგზავნა მსოფლიო ფედერაციას, რომ საქართველო მიიღონ ცალკე წევრად. ეს უფრო ფართო პერსპექტივებს გადაუშლის ჩვენს ჯიუ-ჯიცუისტებს, თუმცა არც -მანამდე ექნებათ კარი ჩაკეტილი ქართველ სპორტსმენებს — როგორც მოგახსენეთ, ისინი პოლონეთის „ხელდასხმის“ წყალობით მოსინჯავენ ძალას საერთაშორისო სარბიელზე.

როგორც ჯიუ-ჯიცუს რესპუბლიკური ფედერაციის წარმომადგენლებმა გვაცნობეს, შორს არ არის ის დღეს, როცა ჩვენი ფედერაცია მსოფლიო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი გახდება და ამისთვის ახლავე უნდა ვიზრუნოთ. ფედერაციის წევრობა მრავალი პრობლემის წინაშე დაგვაყენებს. კერძოდ, თბილისში არ არის დარბაზი, სადაც ჩვენს სპორტსმენებს ექნებათ ვარჯიშის ნორმალური პირობები, რათა აიმაღლონ ოსტატობა და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ გამოცდილ მეტოქეებს. ნორმალური დარბაზის ქონა კი არამარტო ვარჯიშისთვისაა აუცილებელი: მსოფლიო ფედერაციის წევრობა გვაიძულებს, წელიწადში თუნდაც მხოლოდ ერთ შეჯიბრებას ვუმასპინძლოთ... მოკლედ, ამაზე ნამდვილად ღირს დაფიქრება, რაც შეიძლება მალე უნდა ამოვუდგეთ მხარში საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაციას და გადავწყვიტოთ ზემოხსენებული პრობლემები.

აქვე დავძენთ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ საქართველოში არსებობს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია. სხვათა შორის, არ არსებობს ჯიუ-ჯიცუს საკავშირო ფედერაციაც.

სურათზე: დოკუმენტური დასტური — საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია პოლონეთის ჯიუ-ჯიცუს აკადემიის წევრია.

ტერორისტთა შიშით

სპარსეთის აუურეში მიმდინარე საომარმა მოქმედებამ გარკვეული დაღი დასვა სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ავსტრიის საკურორტო ქალაქ ზალბაჰში დაიწყო. შესაძლებელი ტერორისტული აქტებით დაშინებულმა ამერიკის სპორტსმენთა დელეგაციამ რამდენიმე დღის წინ დასტოვა ევროპა და სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა რამდენიმე ფავორიტი მაინც ჩავიდეს ავსტრიაში.

ორგანიზატორები შეჯიბრებაზე უფრო მეტ აურადღებას მონაწილეთა უსაფრთხოებას აქცევენ. სწორედ პროფილაქტიკის მიზნით არ შედგა ჩემპიონატის საზეიმო გახსნა, რომელზეც მრავალი უცხოელის ჩამოსვლას ელოდნენ. გუშინწინ ავსტრიის პოლიციამ დააკავა თერთმეტი უცხოელი, რომლებიც აშკარად უსვამდნენ ხაზს თავიანთ პროტესტულ განწყობილებას...

მაგრამ სპორტი მაინც სპორტია და ჩემპიონატის მონაწილეებმა მედლების პირველი კომპლექტი უკვე გაითამაშეს. სლალომში გამარჯვება შოიპოვა მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელმა, ლუქსემბურგელმა მარკ ჟირარდელიმ. საინტერესოა ითქვას, რომ ეს მისი პირველი გამარჯვებაა მსოფლიო ჩემპიონატებში. არ გუმართლა იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონს ალბერტო ტომბას. მას მეოთხე ადგილი აღმოაჩნდა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები კი შესაბამისად თომას შტანგაზინგერსა (ავსტრია) და ოლე კრისტანს (ნორვეგია) ხვდათ.

მიმოშხილველთა აზრით, ტრასა საკმაოდ რთული და სახიფათო იყო. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ გასულ უიქ-ენდს ამ ტრასაზე დაიღუპა ახალგაზრდა ავსტრიელი მოთხილამურე გერონტ რაინშტადლერი.

მატიანე

1934 წელს ჟურნალი „სმენა“ წერდა: „ამ საუკეთესო სპორტსმენმა (ლაპარაკია ჩვენს თანამემამულე გულო რცხილაძეზე) თავის მიერ შედგენილი ვარჯიშის შესრულების დროს მიიღო მაქსიმალური შეფასება: 20 ქულა 20 შესაძლებლიდან. ზოგჯერ არც შეიძლებოდა დაგეჯერებინათ, რომ ადამიანის სხეულს შეუძლია ასე მსუბუქად შეასრულოს გააზრებულ მოქმედებათა მთლიანი გზა“. გულო რცხილაძე ამ დროისთვის საბჭოთა კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშე იყო. აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მან ჯერ კიდევ 1932 წელს მოიპოვა ლენინგრადში გამართულ შეჯიბრებაზე...

1935 წელს მოსკოვს ესტუმრა ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეთა დელეგაცია. გაზეთმა „კრასნი სპორტმა“ საკმაოდ ვრცელი მასალა მიუძღვნა ორი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ამხანაგურ შეხვედრას, რომლის ყურადღების ცენტრში, ამჯერადაც, გული რცხილაძე იყო — უკვე საბჭოთა კავშირის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი.

გაზეთი ამ შეხვედრის აღწერისას აღნიშნავდა: „ჰირველი იარაღია ღერძი. ყველაზე ძლიერი ტანმოვარჯიშე სტუმრებიდან არის გეფერი — რაჰენბერგი, რომელიც კარგად მუშაობს, აკეთებს აღმატრიალებს ბრუნებით, მაგრამ უფრო ძლიერია ჩვენი ჩემპიონი გ. რცხილაძე... ჯგუფი გადადის ორძელზე. ეს იარაღი უფრო ნაცნობია სტუმრებისთვის. აქ უფრო ძლიერად მუშაობენ ისინი. გ. რცხილაძე აქაც ამარცხებს ყველას, აჩვენებს რა სალტოს უკან წინქნევით ბჯენიდან ბჯენში“... უნდა შეგახსენოთ, რომ ჩეხი ტანმომოვარჯიშეები იმ დროს ევროპაში უძლიერესებად ითვლებოდნენ.

გულო რცხილაძე — „დიდი გულო“ მართლაც უნიკალური მოვლენა იყო სპორტში, ქართულ ტანვარჯიშში, საერთოდ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ბავშვობიდანვე გაიტაცა სპორტსმა და მუსიკამ და ამ ორი განსხვავებული დარგის ერთგული დარჩა ბოლომდე. ჰქონდა მიღებული მუსიკალური განათლება და სწორედ ეს აძლევდა მის ვარჯიშებს რიტმულობასა და პლასტიკურობას.

აი, კიდევ ერთი ამონაბეჭდი ძველი საგაზეთო რეცენზიიდან: „ოსტატი გულო რცხილაძე და ლენინგრადელი კოლია სერი შეეჯიბრებიან ერთმანეთს ტანვარჯიშობის უმაღლესი სკოლის ნიმუშთა უფროლამაზ დემონსტრაციაში. მათი სახელი ცხობილია ყველა გიმნასტიკისთვის. ისინი ითვლებიან ისეთ ფალავნებად გიმნასტიკაში, როგორც ბოტვინიკი ჰადრაკში“.

დიახ, ნიკოლოზ სერიც კარგი ტანმოვარჯიშე იყო, მაგრამ ასაკით ჩამორჩებოდა რცხილაძეს და ნამდვილ აღიარებას შიაღწია მაშინ, როცა ჩვენს ჩემპიონს უკვე თავი დანებებული ჰქონდა სპორტისთვის...

სურათზე: გულო რცხილაძის საჩვენებელი გამოსვლა „დინამოს“ სტადიონზე.

„გვაინტერესებს ჭიდაობა და ფეხბურთი“

კარგ წამოწყებას ჩაეყარა შარშან საფუძველი საქართველოს სპორტსაზოგადოება „მართველსა“ და გერმანიის, კერძოდ სამხრეთ ბადენის მხარის სპორტულ საზოგადოებას შორის: ჯერ ჩვენი სპორტსმენები, კერძოდ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ეწვივნენ გერმანიას, შემდეგ კი გერმანელი ახალგაზრდებიც ჩამოვიდნენ საქართველოში — მოეწყო ერთობლივი ვარჯიშები, შეჯიბრებები.

ახლახან თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ სამხრეთ ბადენის სპორტული წრეების წარმომადგენლები: ბატონი ვოლფგან გრესორი და ქალბატონი სიმონა რომბა, რომელთა ვიზიტის მიზანი სწორედ ჰაბუკ სპორტსმენთა შორის კონტაქტების გაფართოება იყო. თუ შარშან მხოლოდ მოზიდავეები იყვნენ მიწვეულნი, ამჯერად ისინი კავშირს დაამყარებენ ძიუდოისტებთან, მოცურავეებთან, მოტო-ველო სპორტსმენებთან, ტანმოვარჯიშეებთან...

— ჩვენ ჯერჯერობით უვალუტო გაცვლებს ვაწარმოებთ, რადგან ჩვენთან მხოლოდ ჩოგბურთია სახელმწიფო დოტაციაზე, დანარჩენი სახეობები თვითდაფინანსებაზე არიან — გვითხრა ვოლფგან გრესორმა — ამ სახით კონტრაქტები გავაფორმეთ 1993 წლამდე, მომავალში ალბათ თქვენს მწვრთნელებს მივიწვევთ ჩვენთან სამუშაოდ. განსაკუთრებით გვაინტერესებს ჭიდაობა და ფეხბურთი.

● **საქართველოში ყოფნისას სპორტის რომელ სახეობებს გაეცანით?**

— ძირითადად დავესწარით თავისუფალი, კლასიკური და ქართული სტილის მოჭიდავეთა ვარჯიშებს; ვნახეთ ტანმოვარჯიშეები და ბატუტზე მხტომელები. სამწუხაროდ, წელს ვერ მოვასწრეთ კალათბურთელთა მიპატიჟებას, მაგრამ მომავალ, 1992 წელს, ამ სახეობის წარმომადგენლებსაც მივიწვევთ.

● **როდის ჩამოვლენ თქვენი სპორტსმენები ჩვენთან?**

— ძიუდოისტი ვაჟებისა და გოგოების ჯგუფი მაისის ბოლოს ჩამოვა. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახალგაზრდების კონტაქტებს. ამჯერად, გაცნობა სპორტით დაიწყება, მაგრამ იმედია, ისინი უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს და მომავალში პირად კონტაქტებსაც დაამყარებენ. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა ჩრდილი არ უნდა მიაყენოს სპორტსმენთა ურთიერთობას.

● **ეხე იგი, თქვენი აზრით, სპორტი პოლიტიკას უნდა გაემიჯნოს...**

— მსოფლიოში დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას მხოლოდ ხელის შეშლა შეუძლია სპორტისათვის, რის სურვილიც არავის აქვს. ვიმედოვნებთ, თქვენთან მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები კეთილად დამთავრდება და ყველაფერი რიგზე იქნება.

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

ყველაზე დიდი ჩემპიონი



ახლაცის გამო, დიტო შანიძის გამოსვლები არ მინახავს, ვიცი მხოლოდ, რომ რაფაელ ჩიმიშკიანის შერე, საქართველოს არ ჰყოლია მისი ტოლი ძალოსანი და, თუ ჩვენში ძალოსნობის გავრცელების არეალს და ამ სახეობის გახვითარების ტემპს გავითვალისწინებთ, კარგა ხანს იქნებ არც გვეყოლოს.

იყო შენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო, რომელიც გნებავთ, იმ საქმეში, ეს ნებისმიერი ადამიანისთვის საპატიოა. და ეს პატივი, უმრავლეს შემთხვევაში, თავისებურ დამლას აჩნევს ამ გამორჩეულის ხასიათს. ზოგი ამას ამპარტავნობას უწოდებს, ზოგი ყოყლოჩინობას.

რა დასამალია და, ბატონი დიტო შანიძე — მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, იმ იშვიათ ადამიანთა რიგებს განეკუთვნება, ზემოხსენებული თვისებების ნატამალიც რომ არ გააჩნიათ. საკუთარი ღირსების შეგრძნება კი, იცოცხლეთ, გამახვილებული აქვს. და კიდევ, ბატონი დიტო იმით გამოირჩევა, სხვა ქართველ სპორტსმენთაგან, რომ...

თუმცა, ამაზე ქვემოთ.

● ბატონო დიტო, თუ შეიძლება, ერთხელ კიდევ გაიხსენეთ თქვენი წოდებები.

— კი, ბატონო, ვარ საქართველოს, მე რომ არ მახსოვს, იმდენგზის ჩემპიონი, 67-გზის რეკორდმენი; სხვათა შორის, ჩემი ყველა რესპუბლიკური რეკორდი დღემდე მოუხსნელია; ზედიზედ 6-ჯერ მოვიგე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი (1969-75 წ.წ.); სამჯერ ევროპის პირველობაზე გავიმარჯვე (1971-73 წ. წ.), ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატში და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, ორ ოლიმპიადაზე — მეხიკოსა და მიუნხენში — ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან, შაგრამ ორჯერვე ვერცხლის მედლები მერგო.

● თქვენ მხოლოდ საქართველოს რეკორდები ახსენეთ..

— რეკორდების მეტი რა დამიმყარებია საკავშირო თუ მსოფლიო სარბიელზე, მაგრამ ყველას „შავი დღე“ ეწია — გააუმჯობესეს. აი, თანამემამულენი კი, ეტყობა, მინდობენ, რომ აქამდე არ მოხსნეს ჩემი რეკორდები.

● როგორ მოხდით სპორტში, კერძოდ, ძალოსნობაში?

— სრულიად შემთხვევით. მაშინ ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში ვმუშაობდი მხერხავად. ერთ დილას საამქროში მივედი და ვხედავ, 6 კაცი ეჯაჯგურება დიდ კასრს და ძვრას ვერ უშვრება; გავეხუმრე — 6 კაცი რად უნდა, ერთი კაცი მოერევა მაგას-მეთქი. შენ იქნები ის ერთიო, ცალყბად მიპასუხეს. გული მომივიდა, ვეცი კასრს და დავდგი თავის „დანიშნულების ადგილზე“ — ავტომანქანის ძარაზე. თანამშრომლები პირდაფჩენილნი მიყურებდნენ. როგორც გავიგე, 75-კილოგრამიანი იყო ის კასრი.

ამ ამბავს ერთი ჩემი მეგობარი შეესწრო, დამავლო ხელი და წამიყვანა ძალოსნობის მწვრთნელთან. შტანგა მანამდე თვალით არ მენახა, მაგრამ პირველ დღესვე 90 კილოგრამი დავძლიე. ეს იყო და ეს, მერე არც მწვრთნელი მომეშვა და...

● მწვრთნელი ახსენეთ. ვის უმადლით ყველაზე მეტად თქვენს წარმატებებს?

— იმ კასრს და... რა თქმა უნდა შოთა წერეთელს, ამ მართლაც ძალოსნობის მესიდუმლესა და კაცურ კაცს.

● კასრის ისტორია რომ არა, სპორტი თუ მოეკცეოდა თქვენი ინტერესების სფეროში?

— კასრამდეც „მოქცეული იყო“. სიკბაუკეში ფეხბურთს ვთამაშობდი, არცთუ ურიგოდ. იმდროინდელი ქუთაისის „დინამოშიც“ ვირიცხებოდი და ჩემი მეგობრები ნშირად მეხუმრებოდნენ — „შენგან თუ რაშე გამოვა ფეხბურთელი, სხვა არაფერიო. ხედავთ, რა პერსპექტიული ფეხბურთელი ვიყავი?

● სადამდე გასტანს თქვენმა სპორტულმა კარიერამ?

— მსოფლიო ჩემპიონობა უკანასკნელად 36 წლისამ მოვიპოვე. საბოლოოდ კი, 44 წლისა გამოვედი ფიცარნაგზე ხალხთა სპარტაკიადაზე, 1978 წელს. ისიც ძალით წამიყვანეს: მწვრთნელები ჩამაცივდნენ — წამოდი, ქუსლას მაინც მისცემ გუნდსო. სირცხვილია-მეთქი, გავჯიუტდი. წამოდი და შენ მაგივრად ჩვენ შეგვრცხვებაო, დამახამუსეს. მართლაც, „შემაცდინეს“, თუმცა, პროგრამა მაქსიმუმი მაინც შევასრულე — 14 ქუდა შევძინე გუნდს.

● ვის თვლიდით ყველაზე „უხერხულ მეტოქედ“ თქვენს წინააღმდეგ ფიზიკურ კატეგორიაში?

—უნგრელ იმრე ფიოლდის: ნიჭიერი, კარგი სპორტსმენი იყო. ერთხელ როსტოვში, „მეგობრობის თასის“ გათამაშებაში ფიოლდი 37 კილოს მიგებდა ორივე მოძრაობაში. თანაგუნდელები მეხუმრებოდნენ — შანიძე, წადი სასტუმროში, დაიძინე, ამას ვეღარ მოუგებო. იხტიბარი არ გავიტეხე: ისე, მაინც ვცდი, ოქროს თუ არა, იქნებ სხვა ხარისხის მედალს გამოვკრა-მეთქი ხელი, ვიფიქრე. აკვრაში 25 და ატაცში 15 კილოგრამი მოვუგე ფიოლდის და, მეც რომ არ მეგონა, ისე გავხდი ჩემპიონი. გახარებულმა დეპეშა ვაფრინე შინ. მეორე დღეს ჩამოვფრინდი, მივედი სახლში და შუადღისას ფოსტალიონი მომადგა — თქვენმა სახლიკაცმა ჩემპიონობა მოიპოვა, გილოცავთო. გმადლობთ-მეთქი, რაღა უნდა მეთქვა.

● ბატონო დიტო, მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებზე მოპოვებული ტიტულები არ გაკლიათ, და მაინც, სპორტსმენის შესაძლებლობათა ზღვარი, ალბათ, ოლიმპიადაზე გადის.

— მიგიხვდით, მაგრამ არ გეთანხმებით. ჩემი შესაძლებლობები სწორედ ოლიმპიური ჩემპიონის შესაძლებლობათა ტოლფასი იყო. თავად განსაჯეთ: მიუნხენის ოლიმპიადაზე მე და ბულგარელმა ნურაირ ნურიკანმა 400-400 კილოგრამი ავწიეთ, მაგრამ შემდეგ, შეჯიბრების დამთავრებისას, საკონტროლო აწონვაზე ბულგარელი 50 გრამით (?) მსუბუქი აღმოჩნდა ჩემზე. მაპატიეთ და, ორსამჯერ რომ ენერგიულად გადამეფურთხებინა აწონვამდე, ჩემპიონი გავხდებოდი. ბედის ირონია, თუ გნებავთ, ესაა. ეს მარტო ძალოსნობაში არ ხდება — სპორტის არც ერთ სახეობაში არ არის საშეჯიბრებო სისტემა უნაკლო.

ოლიმპიური ოქროს მედლის გარდა, ერთხელ კაი გვარიანი თანხა დავკარგე გრამების გადამეკიდემ. დუბნაში, საკავშირო პირველობის შესარჩევ ტურნირზე, 30 გრამმა „დამღუპა“ და II ადგილზე გავედი. ნაკრების მწვრთნელმა, ალექსეი მედვედიევმა, ვითომ სხვათა შორის, მკითხა: შანიძე, რა ღირს თქვენთან ერთი ჭიქა გაზიანი წყალი. 5 კაპიკი-მეთქი, ვუპასუხე. 5 კაპიკი კი არა, 500 მანეთი ღირსო. თურმე გამარჯვებულს ეს თანხა უნდა რგებოდა. აბა, რა ვიცოდი, თორემ ფეხსაცმლის ერთ თასმას მოვიხსნიდი, ისე გავიდოდი ფიცარნაგზე, 30 გრამი კიდეც დამაკლდებოდა.

● თქვენზე ამბობენ, მეხიკოში ამერიკის მძლეოსანთა ნაკრების ერთ-ერთ წევრს სიმაღლეში ბტოლობაშიც კი გაჯიბრია...

— ეს შემთხვევით მოხდა. საბჭოთა კავშირის ძალოსანთა ნაკრები გუნდის წევრები ვარჯიშიდან. ვბრუნდებოდით. ოლიმპიურ სოფელში, ვიდრე ჩვენს „შტაბ-ბინაში“ მივიდოდით, გზად ამერიკელთა „რეზიდენცია“ უნდა გაგვევლო. სწორედ აქ ვარჯიშობდნენ ამერიკელი სიმაღლეზე მხტომელები. ჩვენც შევჩერდით და თვალს ვადევნებდით ჰაერში მფრინავ ადამიანებს. მივუდით, გამოვეცნაურეთ. ერთმა ზანგმა, რომელიც 2 მეტრამდე სიმაღლისა იყო და მას მხრებამდეც ვერ ეწვდებოდი, თამასა 170 სანტიმეტრზე დადო და ირონიულად გადმომხედა — ხომ არ გადახტებიო. ჩემი თავი მოგიკვდეს, მაგაზე როგორ გაწყენინებ-მეთქი. გავექანე და ავიღე „საწყისი“ სიმაღლე. თვალები გაუფართოვდათ ამერიკელებს. ზანგმა 10 სანტიმეტრი მოუმატა, აბა, რა ქუთაისელი ვიყავი, 10 სანტიმეტრს შევშინებოდი — ლაჯებს შუა მოვიქცევ თამასა. ზანგმა კიდევ მოუმატა 10 სანტიმეტრი — არც 190 სანტიმეტრს შევეპუე და გადავხტი. ამერიკელები ერთმანეთს გაოცებულნი უყურებდნენ. ცნობილია, სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენლები, დიდი სპორტსმენები მყავს მხედველობაში, იცნობენ თავიანთი რანგის უცხოელ „კოლეგებს“, თუ არ იცნობენ, მათი არსებობა მაინც იციან. ამიტომ გაუკვირდათ, მძლეოსნებს სახტომ სექტორში ჩემი გამოჩენა. ალბათ, გაიფიქრეს, ეს „რუსეთის“, როგორც მაშინ საკავშირო ნაკრების ყველა წევრს გვიწოდებდნენ, დებიუტანტიაო.

ამ ამბავს ერთი უცხოელი კორესპონდენტი შესწრებია და მეორე დღეს მექსიკის სპორტულ გაზეთებში დაიბეჭდა ჩემი ფოტო, სადაც „რუს სიმაღლეზე მხტომელად“ ვიყავი დასახელებული.

● ამბობენ, ძალოსნები ყველაზე ხშირად მიმართავენ სხვადასხვა მახტიმუალირებელ საშუალებებს. თქვენ თუ ხმარობდით დოპინგს?

— სიმართლე გითხრათ, ერთხელ შევცდი, საკავშირო ნაკრების შეჯიბრებაზე. მას შემდეგ არ გავკარებივარ. რას გავეკარებოდი: რაღაც ვიტამინები გადამაყლაპეს. ბოდიში და, მთელი ღამე ერთი მარშრუტით დავრბოდი: სასტუმროს ნომერი — საპირფარეშო, საპირფარეშო — სასტუმროს ნომერი... საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელები ხშირად გვაძლევდნენ სხვადასხვა ანაბოლიკებს, მაგრამ ჩუმად ვყრიდი. ზოგიერთები კი სისტემატურად ხმარობდნენ მათ. ერთმა ცნობილმა რიგელმა ძალოსანმა, რომლის გვარს არ დავასახელებ, და, რომელსაც არაერთი საერთაშორისო რეკორდი და ტიტული ეკუთვნის, ჩემს თვალწინ, შეჯიბრების წინ, ნომერში გაიკეთა ნემში.

დოპინგის მავნებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ბოლო-ბოლო, სპორტი ხომ ვაკაცების, ნაღდი ვაკაცების ორთაბრძოლაა და აქ ზედმეტი დამხმარე საშუალების მოშველიება, რომელიც შენს მეტოქეს არ გააჩნია, არაკაცობაა და სხვა არაფერი. ესეც არ იყოს, ცნობილია დოპინგის ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე. უვითარდებათ სქესობრივი უუნაყოფობა. არა ბატონო, ასეთ რისკზე ნაღდად არ წავალ.

● სხვა, სპორტსმენისთვის შეუფერებელი მეთოდებით თუ გიცდიათ წარმატების მიღწევა.

— კი, ერთხელ ვცადე და გამიმართლა კიდეც. როცა შტანგა ავწიე (ატაცს ვასრულებდი), ვერ დავიჭირე ხელში, ბუნებრივია, უნდა დამვარდნოდა. ამ დროს, შევნიშნე, ფიცარნაგზე ლურსმანი იყო ამოშვერილი. ერთი ნაბიჯი უკან გადავდგი და მერე დავაგდე შტანგა. თავიდან ქუდა არ მომცეს, მაგრამ მსაჯებთან თავი ვიმართლე, ფეხები სათანადოდ ვერ გავშალე, ლურსმანი ხელს მიშლიდა-მეთქი. დამიჯერეს, ხელახალი ცდის უფლება მომცეს. ამასობაში ლურსმანი ჩაეყარეს ფიცარში, შემდეგ ცდაზე ავწიე შტანგა, არადა, სხვა რა გზა მქონდა, — ფიცარნაგზე მეტი ლურსმანი აღარ იყო ამოჩრილი.

● საკავშირო ნაკრების წევრთაგან ვისთან გქონდათ მეგობრული ურთიერთობა?

— ჟაბოტინსკისთან. კარგი სპორტსმენი და შესანიშნავი ადამიანია, კიდევ უფრო უკეთესი... მეკარე.

● მეკარე?

— დიახ, მეკარე. თუ არ გჯერათ, ერთ საფეხბურთო მატჩს გაგახსენებთ, რომელიც უთუოდ ეხსომებათ ძალოსნობის და ჰოკეის გულშემატკივრებს. ეს შეხვედრა 1969 წელს შედგა. ერთმანეთს ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირის ძალოსნებისა და ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. მახსოვს, ჟაბოტინსკიმ, რომელიც მეკარე იყო, სისხლი გაუშრა ჰოკეისტთა თავდამსხმელებს, იშელა კარებს, ლამის მთლიანად ფარავდა; მკერდით იგერიებდა ბურთს და მისი მკერდიდან ანასხლეტი ბურთით, რომელიც მინდვრის ცენტრამდე აღწევდა, ჩვენ კონტრშეტევას ვიწყებდით. ამის წყალობით, ორი გოლი გავიტანეთ და გავიმარჯვეთ. ერთი ბურთი კოლოტოვმა შეაგდო.

● მეორე?

— რა თქმა უნდა, დიტო შანიძემ.

● არაერთ ქართველ სპორტსმენს, რომელთაც ხაკავშირო ნაკრების მწვრთნელებთან და რუს მხაჯებთან ჰქონიათ საქმე, გამოუცდიათ მათი არაობიექტურობა, მათ მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გადალახვით გამოწვეული სიმწარე. თქვენ ხომ არ ყოფილხართ ამ ყოფაში?

— რა ვქნა, ტყუილს ვერ დავწამებ ვერავის. ყველას, რატომღაც ვუყვარდი, ყველა პატივს მცემდა. არ მახსოვს, როდისმე ნაკრების ხელმძღვანელებს უკადრისი ეკადრებინათ ჩემთვის იმის გამო, რომ ქართველი ვიყავი. მათგან წყენა არ მახსოვს. სამაგიეროდ, ერთმა პერუელმა მსაჯმა გამიმწარა სიიცოცხლე. პერუში, ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, ამ მსაჯმა ყველაფერი იღონა, რომ არ გამემარჯვა. მიაღწია კიდეც საწადელს. მერე გავიგე რაშიც იყო საქმე — მისი აღზრდილი ძალოსანი რუს მსაჯს დაუჩაგრია ამერიკაში ერთ-ერთ ტურნირზე, ისიც ადგა და ჩემზე, როგორც „რუსზე“, ჯავრი იყარა. მეც გადავუხადე სამაგიერო — ნახევარ საათს ქართულად ვაგინებდი.

● სპორტსმენები, ყოფილნი თუ მოქმედნი, ხშირად ერევიან პოლიტიკაში. შორს რომ არ წავიდეთ, თქვენი კოლეგა, რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იური ვლასოვი გავიხსენოთ. მარტო ის რად ღირს, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მან პირველმა რომ გაილაშქრა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შავნელი საქმიანობის წინააღმდეგ. იგი დღესაც რუსეთის დემოკრატიულ ძალთა ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება.

— შე რომ ნაკრებიდან მოვდიოდი, ვლასოვი მაშინ მოვიდა გუნდში. ამიტომ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ერთ წელს გაგრძელდა. მომავალი პოლიტიკოსობის არ ვიცი, მაგრამ ნიჭიერი და განსწავლული ახალგაზრდა რომ იყო, ამას გაცნობისთანავე შეატყობდით. შეკრებებზე, ვარჯიშს რომ მორჩებოდა, დარჩენილი დრო წიგნებში იყო ჩაფლული. არა, არც გართობას და დასვენებას იკლებდა, მაგრამ დრო ისე ჭქონდა განაწილებული, საქმეს არ წაასდენდა. მეტად მუყაითი და შრომისმოყვარე ბიჭი იყო და შედეგიც სახეზეა. ისე, დღეს აღარავის უკვირს სპორტსმენის, ან ყოფილი სპორტსმენის გატაცება პოლიტიკით. მარტო მე ვერ ვივარგე — არ გამოვიდა ჩემგან პოლიტიკოსი.

● თუ გიცდიათ მწვრთნელად გამუშავათ?

— ვცადე, მაგრამ მალე თავი დავანებე. ერთ პიროვნებასთან უთანხმოებისა და დღეს ძალოსნობაში არსებული უკუღმართი საწვრთნელი მეთოდების გამო. როგორ შეიძლება 12-13 წლის კნაპა ბიჭებს 70-80 კილოგრამის აწევა მოსთხოვო, მათ ხომ ჯერ ერთი კუნთიც არა აქვს განვითარებული, მთელ კუნთოვან სისტემას რომ თავი დავანებოთ, შტანგა ლაზიერი ხომ არ არის, ხელი მოჰკიდო და სადაც გინდა იქ დასვა, არადა, შედეგს გთხოვენ, თან არც იმპროვიზაციისა და ტალანტების შერჩევის საკუთარ გზებს გიწონებენ.

● უკანასკნელ ხანს ძალოსნობის რეპუბლიკურ ფედერაციაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ფედერაცია დამოუკიდებლობის გზას დაადგა, ისევე, როგორც ქართული სპორტული ხამეარო, და სხვა რეპუბლიკურ ფედერაციებთან ურთიერთობის ახალ ფორმებს ეძებს. ახლა ეძიებს ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანების გზებს. თქვენ რას ურჩევდით დამოუკიდებლობის მოხურნე ქართველ ძალოსნებს?

— საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია, მჯერა, შეძლებს დასახული მიზნის მიღწევას. ერთი კია — დამოუკიდებელ თუ სატელიტადქცეულ სპორტულ ორგანიზაციებს და ფედერაციებს მხოლოდ პროფესიონალები უნდა ხელმძღვანელობდნენ, ის ხალხი, ვისაც თავად განუცდია ღამის ტეხვა, წონის დაკლება, მასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა, მარცხი თუ გამარჯვება...

ღიმილიანი კაცია დიტო შანიძე. სიტყვას არ იტყვის, მსუბუქი იუმორი რომ არ გაურიოს. ამიტომაც არის, თავისი სპორტული ცხოვრების გამარჯვებებსა და დამარცხებებს სიამოვნებით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ჰყვება. უსასრულოდ შეიძლება მასთან საუბარი, მაგრამ ერთი საგაზეთო ინტერვიუ რას გასწვდება დიტო შანიძის სპორტული კარიერის აღწერას. ის, რაც ახლა გვიამბო, მხოლოდ ორიოდ შტრიხია მისი პიროვნებისა და, თუ მისი ხასიათის ახსნა აუცილებელია, იგი ალბათ ასე ჩამოყალიბდება: დიტო შანიძე ყველაზე დიდი იუმორისტია ჩემპიონთა შორის და ყველაზე დიდი ჩემპიონი იუმორისტთა შორის.

ესაუბრა ლევან ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურთით, ვითარცა ფარით და ხმლით

19 იანვარს საქართველოს ტელევიზიამ განმეორებით აჩვენა დოკუმენტური ფილმი გამოჩენილ ქართველ სპორტსმენზე, კალათბურთელ ოთარ ქორქიაზე. ამ ფილმის ნახვამ ბატონ ოთარ ქორქიასთან შეხვედრა გამახსენა, რამაც მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს იყო 1979 წლის აგვისტოს ბოლო დღეები. ბათუმში ყოფნისას მწვანე კონცხზე მივაკითხე ჩემს მეგობარს (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგს, ზურაბ მაჩარაძეს. ზურაბმა გაიხსენა ჩემი დიდი სიყვარული კალათბურთისადმი და მითხრა, ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ თბილისელი მოზარდი კალათბურთელები, რომელთაც ახლავთ ლეგენდარული ოთარ ქორქიაო. ბუნებრივია, ბატონ ოთართან შეხვედრის დიდი სურვილი გამიჩნდა, მაგრამ ვეჭვობდი, შევძლებდი ამას თუ ვერა. ჩემი გულისწადილი მეგობარს გავუზიარე. მას გაეღიმა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ხელით გზისპირა სახლისკენ მიმითითა — „ამ საღამოს ბატონი ოთარი იმ სახლში აპარლების სტუმარია. მასპინძელმა მეც მოხოვა მისვლა, ერთი კაცის წაყვანის უფლება მაქვსო“.

ზურაბი და მე ცოტა მოგვიანებით მივედით. სტუმრები უკვე სუფრას უსხდნენ, მათ შორის იყო ბატონი ოთარ ქორქია. იგი შეუძლოდ გახლდათ და სასმელზე უარი თქვა. რამდენჯერმე ვცადე სპორტზე საუბრის დაწყება, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის პრობლემებზე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ვერც სუფრის წევრებისაგან ვპოვე მხარდაჭერა და ვერც ბატონ ოთარს მოვაწონე თავი კალათბურთში ჩემი „განსწავლულობით“... მას მოწყენილობა მოეძალა.

თამადამ პერსონალური სადღეგრძელოები ბატონი ოთარის სადღეგრძელოთი დაიწყო. ვისაც როგორ შეეძლო, ისე გამოხატა თავისი დამოკიდებულება სტუმრის მიმართ. მე, თუკი აქამდე თამადის შემდეგ ვერავინ მასწრებდა ჭიქის აღებას, ფიქრებში ჩავიძირე. მინდოდა, რაღაც ისეთი გამეხსენებინა, რაც ბატონ ოთარს გულზე მოხვდებოდა და ხასიათს გამოუკეთებდა. არაფერი გამოდიოდა. ის კი არა, საერთოდ თუ მოვახერხებდი რამის თქმას, ამაშიც კი შემეპერა ეჭვი. ბურანიდან თამადამ გამომარკვია. მხოლოდ ჩემი თქმა აკლდა, რათა ბატონ ოთარს სამადლობელი ეთქვა. ფეხზე წამოვდექი და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მეც დავიწყე:

„ყველა სფეროს თავისი წინამძღოლი სჭირდება, ყველა სახეობას თავისი ლიდერი. ბერიტაშვილმა ქართულ ფიზიოლოგიურ სკოლას დაუდო საფუძველი, მუსხელიშვილმა ქართული მათემატიკური სკოლის სიძლიერე განაპირობა, უზნაძემ ფსიქოლოგიის, ნუცუბიძემ ფილოსოფიის... პაიჭაძემ ქართული ფეხბურთის მომავალი განსაზღვრა...“ იმ დარგებისა და სახეობების შესახებაც ვთქვი, რომლებიც წინ ვერ წავიდნენ წინამძღოლისა თუ ლიდერის არყოლის გამო. რა თქმა უნდა, ბატონი ოთარ ქორქიას გამორჩეულ წვლილზეც ვილაპარაკე ქართული კალათბურთის წინაშე და ამით სადღეგრძელო დავამთავრე.

ჩემი სადღეგრძელოს განმავლობაში ბატონ ოთარს სახე თანდათანობით ეცვლებოდა. ჭიქის გამოცლის შემდეგ ისიც აღვნიშნე, თუ რა დიდი სიხარული განიცადეს ქართველმა გულშემატკივრებმა როცა 1962 წელს ჩვენმა „დინამომ“ ოთარ ქორქიის ხელმძღვანელობით ევროპიდან ევროპის ჩემპიონთა თასი ჩამოიტანა...

ბატონი ოთარი ნელა წამოდგა, თითქოს ჩვენს თვალწინ მთა აღიმართოო, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, ფიალა ხელში აიღო, ჯერ თამადას მოუხადა მადლობა დღეგრძელობისა და კეთილი სურვილებისათვის, შემდეგ სუფრის წევრებს და საგანგებოდ შეჩერდა ჩემს სადღეგრძელოზე. არ დამეთანხმა ანალოგიებში, იმ ტატანებთან ჩემი სახელის ხსენება როგორ შეიძლებაო... ან კი განა ბორიას გაკეთებულთან შივა ჩემი საქმეო — ესეც დასძინა. შემდეგ შეყოვნდა, თითქოს უფრო გაიმართა წელში, მკერდი წინ წამოსწია და მისთვის დამახასიათებელი სიწყნარით ასე დაასრულა თავისი სამადლობელი. „ერთი კი ნამდვილად ასე იყო: როდესაც მოედანზე გავიდოდი და ბურთს ხელში ავიღებდი, ასეთი განწყობა თუ განცდა მეუფლებოდა — ხელში ბურთი კი არა, ფარი და ხმალი მეჭირა და ამით საქართველოს საქმეს ვაკეთებდიო!“ ფიალიდან ცოტა ღვინო მოსვა და დინჯად დაეშვა სკამზე.

იმდენად შთაბეჭდილი ოთარ ბატონი ოთარის სამადლობელი — დ განსაკუთრებით მისი ბოლო სიტყვები, რომ მცირე ხნით სუფრის წევრები მონუსხულებივით იყვნენ. დოკუმენტურმა ფილმმა სწორედ ეს მომენტი გამახსენა და, სამართლე რომ ვთქვა, შესაფერისი მომენტიც დამიდგა მკითხველებისთვის ეს ამბავი რომ მომეთხრო.

აქამდე ბატონი ოთარის ეს სიტყვები კერძო საუბრებში ბევრისთვის მითქვამს. ვისაც იგი მოედანზე უხილავს, მყის მეუბნებოდნენ: „სრული სიმართლე უთქვამს, ამას მაყურებლებიც კარგად ვხედავდითო“.

ბატონ ოთარის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ ძალა და ფასი. ისინი ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ უმთავრესი საქართველოზე ფიქრია, მამულიშვილი, ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა ემსახუროს სამშობლოს.

მიხეილ მახარაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ყველაზე ლამაზი ფეხბურთელი

გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად, მსოფლიოს ყველაზე ლამაზ, მომხიბლავ ფეხბურთელად იტალიელი რობერტო ბაჯო აღიარეს. თუ ამას დავუმატებთ უაღრესად ლამაზ და შედეგიან თამაშსაც, ცხადი გახდება, თუ რატომ არის ბაჯო ესოდენ პოპულარული ფეხბურთის სამყაროში. ამ რამდენიმე ხნის წინ, როცა ბაჯო ტურინის „იუვენტუსის“ შემადგენლობასთან ერთად ბულგარეთში იმყოფებოდა, მას სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტები ეწვივნენ. აი, ფრაგმენტები ამ ინტერვიუდან.

● ალბათ, ძალიან ძნელი ცხოვრება გაქვთ, ქალები დაგდევენ და გაწუხებენ...

— ამ მხრივ, რაიმე პრობლემა არა მაქვს. ამავე დროს იტალიაში მარტო მე ხომ არა ვარ ასეთ მდგომარეობაში. ვინც მაბეზრებს, ვიგერიებ კიდეც.

● იმიტომ ხომ არა ხართ ასეთი მიუკარებელი, რომ მთელი თქვენი უურადღება პროფესიული ინტერესებისაკენ არის მიმართული?

— არა, რატომ! ჩემს პირად ცხოვრებას ფეხბურთთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მით უფრო, რომ ლამაზი და მოსიყვარულე ცოლი მყავს.

● მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენ და სკილაჩი მსოფლიოში უძლიერეს თავდამსხმელთა დუეტს შეადგენთ?

— მსოფლიო ჩემპიონატის დროს ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ შემდეგ ჩვენი თამაშის სტილი ყველასათვის ცნობილი გახდა: მცველები ძალიან ფრთხილობენ და ცდილობენ, ერთი წამითაც არ მოგვაცილონ თვალი. მე მაინც ვფიქრობ, რომ მე და სკილაჩი „იუვენტუსში“ ვაჩვენებთ ყოველივე კარგს, რაც კი შეგვიძლია.

● მსოფლიო ჩემპიონატში არგენტინელებთან პირდაპირ „ინფარქტის მომგვრელი“ მატჩი წაგეთ. ბევრი სპეციალისტი ფიქრობს — ეს ახე არ მოხდებოდა, თქვენს კარში რომ ძენგას ნაცვლად ტაკონი ყოფილიყო.

— არ ვიცი, ძნელი სათქმელია. ეს მატჩი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ძალიან მიჭირს იმაზე ლაპარაკი, რა მოხდებოდა, კარში რომ ტაკონი ყოფილიყო.

● რა უფრო ძნელია — „იუვენტუსის“ მიერ იტალიის ჩემპიონობის თუ ევროპული თასის მოპოვება?

— ეს ორი ფრიად განსხვავებული შეჯიბრება გახლავთ. „იუვენტუსი“ ის გუნდია, რომელიც ამ ორ

იტალიის ეროვნული ნაკრების წევრები: მარცხნიდან — სკილაჩი, ბაჯო, ბერტი, ფერრი.

მაღალ მიზანს ისახავს; მაგრამ, ვიმეორებ, ეს შეჯიბრებები უდიდესი სერიოზულობით, მაგრამ განსხვავებული ტაქტიკით მიდგომას მოითხოვს.

● რაში ხედავთ ასეთ დიდ განსხვავებას?

— ევროპულ თასებზე თამაშისას ძალიან დიდია რისკის ელემენტი, რადგან ოდნავმა გაუფრთხილებლობამ შეიძლება შეჯიბრება დაგტოვებინოს. იტალიის ჩემპიონატში ცალკეული მარცხი ესოდენ ფატალური არ არის.

● თქვენთვის მაინც რომელი შეჯიბრებაა უფრო მნიშვნელოვანი: იტალიის ჩემპიონატი თუ თასების მფლობელთა თასი?

— ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანია.

ბეკენბაუერი და ფოგთსი — მსგავსება და განსხვავება

როცა ფრანც ბეკენბაუერმა გფრ-ს ნაკრების ხელმძღვანელის პოსტი 43 წლის ბერტ ფოგთსს გადადაულოცა, ფეხბურთის მიმომხილველებმა, უნდოდათ თუ არა, დაიწყეს მათი შედარება.

როგორც ექსპერტებმა დაასკვნეს, ბეკენბაუერსა და ფოგთსს მხოლოდ ერთი რამ აღმოაჩნდათ საერთო: ისინი ყოველთვის მაღალ მიზნებს ისახავდნენ და ისახავენ: ბეკენბაუერი მსოფლიო ჩემპიონობას (რაც განახორციელა კიდეც), ფოგთსი კი ევროპის ჩემპიონობის მოპოვებას.

საინტერესოა, რომ სხვა საერთო მათ, უბრალოდ, არ აღმოაჩნდათ: ბეკენბაუერი ყოველთვის, თვით მატჩის დროსაც კი, ელეგანტურ კოსტუმშია გამოწყობილი და კინომსახიობს ჰგავს, ფოგთსი კი სპორტულ ტანისამოსს ამჯობინებს. პირად ცხოვრებაში ბეკენბაუერმა მაღალი საზოგადოების ცხოვრების აღმწერ ჟურნალისტებს უამრავი მასალა მისცა, თავისი ხასიყვარულო თავგადასავლებითა და სამი ქორწინებით; ფოგთსი კი თავისი ერთადერთი მეუღლის უაღრესი ერთგულებით გამოირჩევა, იმ მეუღლისა, რომელიც ქორწინებამდე რამდენიმე წლის განმავლობაში უყვარდა. ბეკენბაუერი შორს არის პოლიტიკისგან, მაგრამ, ხან რა პრობლემის წინაშე დადგება, ხან რა უსიამოვნებას გადაეყრება ხოლმე. ფოგთსს არც რაიმე პირადი პრობლემები აქვს, არც უსიამოვნებანი. იგი დაინტერესებულია პოლიტიკით და ეკოლოგიით, კიდევ ერთი განსხვავება: ბეკენბაუერს მზრუნველი და მოსიყვარულე დედა ზრდიდა, ფოგთსს კი 13 წლის ასაკიდან არც დედა ჰყავს და არც მამა.

1974 წელს ერთმაც მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა და მეორემაც. უკანასკნელ წლებში გულშემატკივრები მათ ყოველ მატჩში ერთად ზედავდნენ: ბეკენბაუერს, როგორც გუნდის მთავარ მწვრთნელს, ფოგთსს კი, როგორც მის თანაშემწეს.

რას ფიქრობს ახლა ერთიანი გერმანიის ნაკრების მწვრთნელი? იგი მიიჩნევს, რომ შემკვიდრეობით მიიღო შესანიშნავი ანსამბლი, მაგრამ თანდათან მას ცვლილებებიც დასჭირდება. საერთოდ კი, ფეხბურთში პრობლემებს რა გამოლევს.

ორი პრეზიდენტის ორი საწინააღმდეგო აზრი

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც შარშან ზაფხულს გაიმართა იტალიაში, ისტორიის კუთვნილება გახდა. მას შემდეგ რამდენიმე თვემ განვლო, თითქოს ყველაფერი შეჯამდა, ყველაფერი გაირკვა, მაგრამ უცხოეთის პრესაში დროდადრო მაინც ქვეყნდება პოლემიკური წერილები ამ დიდი ასპარეზობის თაობაზე.

სულ ახლახან ჟურნალ „ოლიმპიკ რევიუში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ბრაზილიელ ჟოაო აველანჟთან.

პრეზიდენტმა კვლავ აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა მაღალ დონეზე, რა თქმა უნდა, იყო ცალკეული ხარვეზები, და ლაფსუსები, მაგრამ, თუ ვილაპარაკებთ სპეციალისტის რეალური პოზიციიდან, ზედმეტი ემოციების გარეშე, ჩემპიონატი უდავოდ საინტერესო და დადებითი მოვლენა გახლდათ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მსოფლიო პირველობის მაღალი ორგანიზაციული დონე, სტადიონების, სპორტული ბაზების კარგი მომზადება, სათამაშო მინდვრების მაღალი ხარისხი. დამაკმაყოფილებელი იყო მსაჯობის საერთო დონე; არბიტრები რაციონალურად იყენებდნენ თამაშის წესების პუნქტებს და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მითითებებს. ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რომ მწვანე მინდორზე გამართულიყო სპორტული შეჯიბრება და არა „ულმობელი ომი“. წესრიგი იყო ფეხბურთელთა შორის, არც ტრიბუნებზე მოიხდარა ექსცესები. რა თქმა უნდა, ყველაფერმა ამან სასიკეთო გავლენა იქონია ჩემპიონატის შეხვედრათა მსვლელობაზე მსაჯთა შეფასების 10-ბალიანი სისტემიდან საშუალო შეფასებამ შეადგინა 8,5 ქულა; ცალკეულ შემთხვევებში არბიტრებმა 9,0 და 9,4 ქულაც დაიმსახურეს.

შემდეგი მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, ამერიკაში გაიმართება. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს ამ ჩემპიონატისთვის რამდენიმე ცვლილება მოახდინოს თამაშის წესებში, რის შესახებ პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა. ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა საფეხბურთო კარის ზომის გაზრდა, მოთამაშეთა რიცხვის შემცირება მინდორზე, თამაშგარე მდგომარეობის გაუქმება და ზოგიერთი სხვა. ამჟამად ფიფა გარკვეულ საქმიანობას ეწევა ამ სიახლეთა დასანერგავად, ცხოვრება წინ მიდის, ფეხბურთი ვითარდება, ამიტომაც, მას ახალი ჩარჩოები ესაჭიროება.

ასეთია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის მოსაზრება. მაგრამ, ამავე დროს, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტი შვედი ლენარტ იუჰანსონი კატეგორიული წინააღმდეგია რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება მოხდეს ფეხბურთში. მისი აზრით, ფეხბურთი სწორედ იმითაა საინტერესო და მიმზიდველი, რომ მყარი და გონივრული წესები აქვს. უეფა-ს პრეზიდენტი პრინციპულად წინააღმდეგია შეიცვალოს ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, როგორებიცაა თამაშგარე მდგომარეობა, კარის ზომები, მოთამაშეთა რაოდენობა, ორის ნაცვლად 4 ტაიმის დაწესება და სხვა მისთანანი. ლ. იუჰანსონი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება თამაშის წესები შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ სად და რომელ ქვეყანაში გაიმართება მსოფლიოს ან ევროპის მორიგი ჩემპიონატი. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ახალი წესები, სხვადასხვაგვარი ცვლილებები, მხოლოდ ზიანს მიაყენებს ფეხბურთს და დაუკარგავს ტრადიციულ პოპულარობას.

ტელევიზია სერიოზული კონკურენტია

სატელევიზიო არხების მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, მოიმატა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ოფიციალური თუ არაოფიციალური საერთაშორისო და ეროვნული შეჯიბრებების ტრანსლაციის რაოდენობამ.

უცხოეთის გაზეთები წერენ, რომ ამასთან დაკავშირებით, სტადიონებზე რამდენადმე მოიკლო მაყურებელთა რაოდენობამ. გამოითვალეს, რომ ფეხბურთში ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა სატელევიზიო გადაცემების მომრავლებამდე მაყურებელთა საშუალო დასწრება იყო 19.366 კაცი ყოველ მატჩზე, შარშან კი მაყურებელთა რაოდენობამ ამ შეჯიბრებებზე 6,88 პროცენტით მოიკლო.

„განა ძნელია კარგ ცხოვრებასთან შეჩვევა?“

ხოსე ბირიუკოვი — „დაბრუნებული რუსი ვირტუოზი“

ეს სიტყვები აწერია მადრიდის „ბარახასის“ აეროპორტში გამოფენილ უზარმაზარ პლაკატს. დავაკვირდი მასზე გამოსახულ სმენა-თითიურ კალათბურთელს და მივხვდი — ეს ხომ მადრიდის „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული ხოსე ბირიუკოვია!

ისიც შევიტყვე, რომ ხოსეს „დაჭერა“ მადრიდში ძალზე ძნელი ყოფილა და მასთან შეხვედრა კი არა, მის შესახებ ინფორმაციის მიღებაც არარეალურ ამბად მეჩვენა. სურვილი, გაჭეოო რამე მის შესახებ, სურვილად დარჩებოდა, რომ არა მადრიდში დაოჯახებული თბილისელი გოგონა ნინო სვანიძე. ნინო დაუკავშირდა ბირიუკოვების ოჯახს — როგორც მოველოდი, ხოსე მადრიდში არ აღმოჩნდა, მაგრამ შეხვედრაზე დაგვთანხმდა მისი დედა—ბასკი ქალბატონი კლარა აგვირეგაბირია, რომელმაც, ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო ცნობები მოგვაწოდა თავის ვაჟზე.

— გეცოდინებათ, — გაცნობისთანავე მეუბნება დონა კლარა, — არსებობს ვერსია, თითქოს ქართველები და ბასკები ნათესავები არიან. ალბათ, ამის გამოა, ქართველები ძალიან რომ მიყვარს და ჩემს შვილსაც საკმაოდ ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავს.

● თქვენი ოჯახის ესპანეთში გადმოსახლებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საბჭოთა სპორტულ პრესაში. შეთხზა ბევრი „ლეგენდა“, რომელთაგან ძნელი იყო გამერჩია, რომელი შეეფერებოდა სიმართლეს. იქნებ თქვენ მაინც გვითხრათ, რა მოხდა მაშინ?

— მე ესპანეთში დავიბადე და სამოქალაქო ომის დაწყებამდე აქ ვიზრდებოდი. შემდეგ აღმოვჩნდი იმ ლტოლვილ ესპანელ ბავშვთა შორის, რომელნიც საბჭოთა კავშირში გადასახლდნენ.

არ მტოვებდა სამშობლოში დაბრუნების სურვილი, მაგრამ არც მე და არც ჩემს მეუღლეს — ალექსანდრ ბირიუკოვს ხელი არ მიგვიწვდებოდა იმ სიძნელეების დასაძლევად, რაც ამ სურვილის განხორციელებას ეღობებოდა წინ.

ამასობაში, ხოსემ კალათბურთის თამაში დაიწყო. 1982 წელს, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ამერიკული ტურნეს დროს, მას „თვალი დაადგა“ ერთ-ერთი პროფესიული კლუბის მენეჯერმა და ამერიკაში დარჩენა შესთავაზა. ხოსემ უარყო ეს წინადადება, მაგრამ მას მერე მოსვენება დაკარგა. ერთი წლის შემდეგ მოსკოვის „დინამო“ ბარსელონაში გაემგზავრა. აქ ხოსე შეხვდა მადრიდის „რეალის“ წარმომადგენელს, რომელიც ყველანაირი ფორმალური საკითხის მოგვარებას კისრულობდა, თუ ხოსე და მისი ოჯახი ესპანეთში გადავიდოდა საცხოვრებლად. ჩვენთან, შშობლებთან, ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ, ხოსე დასთანხმდა და სწორედ ამგვარად, ყოველგვარი გართულების გარეშე, აღმოვჩნდით ესპანეთში.

● როგორ შეეჩვიეთ ახალ ცხოვრებას, მადრიდს?

— განა ძნელია კარგ ცხოვრებასთან შეჩვევა? „რეალმა“ ხოსეს არაჩვეულებრივი პირობები შეუქმნა: კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის გარდა, (რომელიც ხოსეს არ გაუმხელია, რადგან ეს საიდუმლოა, მაგრამ, ვგრძნობ, ეს თანხა ძალზე დიდია) მას ჩამოსვლისთანავე მისცეს ბინა მადრიდის საკმაოდ პრესტიჟულ რაიონში, მანქანა და... სხვადასხვა სახის პრივილეგიები.

კლუბმა იმდენი მოახერხა, რომ საშუშაოზე მოაწყო ჩემი უფროსი ვაჟი იური, განთლებით ექიმი., დღეს იგი მადრიდის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში მუშაობს.

ხოსეც არ უკარგავს „რეალის“ ხელმძღვანელებს სიკეთეს. პირველ ყოვლისა, ეს მისი კარგი თამაშით გამოიხატება; მეორეც: ორიოდ თვის წინ მადრიდის „ატლეტიკომ“ მოინდომა მისი გადაბირება ძალიან დიდ საფასურად — მილიონ ორასი ათას დოლარად. მე მიხარია, რომ ჩემი ვაჟი კაცურად მოიქცა — „რეალის“ ერთგული დარჩა და განაცხადა — „არანაირი ფულის სანაცვლოდ ჩემს საყვარელ კლუბს არ მივატოვებო“.

● ვიცით, ხოსე წარმატებით გამოდის ესპანეთის ნაკრებშიც...

— მართალი ბრძანდებით. მე შორს ვარ კალათბურთისგან, მაგრამ, არა მგონია, სუსტი მოთამაშე ესპანეთის ნაკრების სასტარტო ხუთეულში მოხვდეს. სტატისტიკოსებს თუ დავუჯერებთ, ხოსე ერთ თამაშში საშუალოდ 20 ქულას აგროვებს. ესპანური პრესა მისი სურათებითა და ინტერვიუებითაა აჭრელებული. ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ხოსე წარმატებით თამაშობს.

● როგორ უყურებს ხოსე თავის პოპულარობას?

— თავიდან ძალზე აღფრთოვანებული იყო. წამდაუწუმ მოჰქონდა ჟურნალ-გაზეთები, სადაც მის შესახებ იწერებოდა, შემდეგ კი, ეტყობა, მიხვდა, რომ ხალხის ნდობას და სიყვარულს გამართლება სჭირდება და ამაზე დროს აღარ ჰკარგავდა — მთელი ყურადღება კალათბურთისკენ აქვს გადატანილი.

● გიხარიათ, თქვენი ვაჟი რომ ასე პოპულარულია?

— ერთხელ მეუღლესთან ერთად სამხრეთ ესპანეთში ვიყავი დასასვენებლად. გულშემატკივრებისგან მოსვენება არ გვქონდა — ყველა ხოსეს ამბავს გვეკითხებოდა, უცნობები ქუჩაში გავლისას ჩვენზე მიუთითებდნენ ერთმანეთს — ბირიუკოვის შშობლები არიანო. თავდაპირველად მეც ძალზე მახარებდა ეს. ცხადია, ახლაც მახარებს, მაგრამ დროთა განმავლობაში, ხოსეს პოპულარობას შევეჩვიე და, მგონია, ეს ასე უნდა იყოს. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია.

● დონა კლარა, ხომ არ იცით, როგორ ცხოვრობენ ესპანეთში მოთამაშე საბჭოთა კალათბურთელები?



ხოსე ბირიუკოვი

— თქვენ, ალბათ, ულიანა სემიონოვას ამბავი გაინტერესებთ. მართალი გითხრათ, ამის შესახებ არაფერი ვიცი; სამაგიეროდ, ეტყვით, რომ არავიდას საბონისი ბედს არ უჩივის. ოგი ხოსეს მეგობარია, ხშირად რეკავს ჩვენთან და მისივე თქმით, ძალზე კმაყოფილია.

ამ დროს ბირიუკოვების ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ხოსე რეკავდა იუგოსლავიიდან, სადაც ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური საგზურისთვის იბრძოდა და მოიპოვა კიდეც იგი. მეც, ცხადია, ხელიდან არ გავუშვი მილოცვის საშუალება.

— დიდი მადლობა — მითხრა ხოსემ, — საქართველოში კიდევ ვახსოვარ? მე ძალიან მიყვარს ქართველები და დიდ პატივს ვცემ მათ. მომიკითხეთ ყველა ჩემი ქართველი მეგობარი. განსაკუთრებით, კალათბურთელი პაატა გურასპაული, რომელთანაც ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს. იმედი მაქვს, მომავალში შევხვდებით ერთმანეთს.

ტელეფონით საუბრის შემდეგ კვლავ ბევრნი დედას მივმართეთ.

● ხოსეს ცხოვრება მარტო კალათბურთით შემოიფარგლება?

— არა, ახლახან საბაზისო საქმიანობას მოჰკიდა ხელი: შეიძინა აქციები; რამდენიმე მეგობართან ერთად თანამედროვე ტანსაცმლის ორი მაღაზია-სალონი გახსნა. მანამდე კი პატარა ლუდის ბარის მფლობელი იყო. არ ვიცი, როგორ წაუვა საქმიანობა, მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ 27 წლის ხოსე, შორს იხედება და უზრუნველ სიბერეზე ფიქრობს. რასაკვირველია, როგორც დედას, ეს ძალზე მახარებს.

● დონა კლარა, არ ნანობთ, საბჭოთა კავშირი რომ მიატოვეთ?

— იუმორის გრძნობა გქონიათ. რა დამრჩენია იქ? — მხოლოდ რამდენიმე მეგობარი. მათი ნახვა, როცა მინდა ხოლმე, ან ესპანეთში ვიწვევე მათ, ან თვითონ ჩავდივარ ხოლმე მოსკოვში. ესპანეთში, „გადმოხვეწას“ არც ხოსე ნანობს. მას ბევრჯერ უთქვამს, საბჭოთა კავშირში რაც არ უნდა კარგი კალათბურთელი ვყოფილიყავი, ასეთ სახელს და ცხოვრებას ვერასოდეს ვერ მოვიპოვებდიო.

ამას მეც ვხვდები. როცა ხოსეს მოსკოველი კალათბურთელი მეგობრები ჩამოდიან და თავიანთ ამბებს ჰყვებიან, მე ვგრძნობ, რომ მათ ძალზე უჭირთ; თუმცაღა, ისინი სხვებზე კარგად ცხოვრობენ. საბჭოთა სპორტის „ბოსებიც“ არ იკლავენ თავს მათზე ზრუნვით. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ: საშა ბელოვის და ფეხბურთელ ვალერი ვორონინის მაგალითი ამის საუკეთესო ნიმუშია.

მადლობა მოვახსენე გულთბილ მასპინძელს მიღებისა და საუბრისათვის. გამოთხოვებისას დონა კლარამ ხოსე ბირიუკოვის ავტოგრაფიანი ფოტოსურათი მაჩუქა, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, და დასძინა: „ჩემი და ჩემი ვაჟის სახით, ქართველებს ესპანეთში კიდევ ორი თაყვანისმცემელი გეგულებოდეთ“.

მერაბ რატიშვილი,

„ლელოს“ სპეც. კორ.

მადრიდი—თბილისი.

„რაშის“ ნეკრეკი — ნაკრებში

როგორც უკვე გაუწყეთ, მოსკოვში "გამართულ კლავდია ბორისოვას ხსოვნისადმი მიძღვნილ ჩოგბურთელთა X ტრადიციულ ტურნირზე 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის პირველი ადგილი დაიკავა იოსებ სიამაშვილმა. შევიტყვეთ ისიც, რომ 1977-1978 წლებში დაბადებულთა შორის მესამე იყო ლევან გელაშვილი. ორივე სპორტსმენი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის „რაშის“ წევრმომადგენელია.

აღსანიშნავია, რომ ასპარეზობა განიხილებოდა როგორც საკავშირო ნაკრების (რომელიც ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადება) წევრთა შესარჩევი ტურნირი. წარმატებით გამოსვლისათვის საკავშირო ნაკრებში ჩაირიცხებიან იოსებ სიამაშვილი, ლევან გელაშვილი და ნინო ლუარსაბაშვილი („შევარდენი“). ახლა ისინი ევროპის პირველობისათვის ემზადებიან.

ნახევარფინალების მისადგომებთან

მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატში ჯერ-ჯერობით წარმატებით გამოდის მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვედი სტეფან ედბერგი. მეოთხედფინალში მან პერუელი პაამე ისაგა დაამარცხა — 6:2, 6:3, 6:2. ახლა მისი მეტოქე იქნება ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი, რომელმაც 146 წუთიან მძიმე ბრძოლაში იუგოსლავიელ გორან პრპიჩს აჯობა — 6:3, 7:6, 7:6.

გამოვლინდა ნახევარფინალის კიდევ ერთი მონაწილე. ესაა ამერიკელი პატრიკ მაკინროუ, ცნობილი ჯონ მაკინროუს უმცროსი ძმა, რომელმაც მეოთხედფინალში იტალიელ კრისტიანო კარატის მოუგო — 7:6, 6:3, 4:6, 6:2.

შტეფი გრაფის დამარცხების შემდეგ ქალთა ტურნირი კიდევ ერთი სენსაციური შედეგით აღინიშნა. მთავარ ბრძოლას გამოაკლდა არგენტინელი გაბრიელა საბატინი, რომელიც ესპანელ არანტა სანჩესთან დამარცხდა — 1:6, 3:6.

ყველა ვეტერანი დაბრუნდა

გასულ შაბათს დაიწყო მოყვარულ მორაგბეთა უდიდესი ტურნირის „ხუთი ერის პირველობის“ სამოცდაშვიდეროე გათამაშება.

პირველ ტურში პარიზში საფრანგეთის ნაკრებმა მიიღო შარშანდელი ჩემპიონი შოტლანდიის გუნდი და ბევრისთვის მოულოდნელად გაიმარჯვა — 15:9. საქმე ის გახლდათ, რომ ფრანგების ახალმა მწვრთნელმა, ორიოდე წლის წინ მოქმედმა მოთამაშემ დანიელ დუბროკამ გუნდში ყველა ვეტერანი დაბრუნა და სწორედ მათმა კარგმა თამაშმა განაპირობა „სამფეროვანთა“ წარმატება.

კარდიფში კი უელსის გუნდმა ინგლისელებს უმასპინძლა. საინტერესოა, რომ ინგლისელებს კარდიფში 1963 წლის შემდეგ არ გაუმარჯვიათ. ამ დღეს კი მათ 7 საჯარიმო და ერთი ლელო გაუტანეს მეტოქეს, პასუხად ერთი ლელო და საჯარიმო გაუშვეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 25:7.

მომდევნო ტურში, 2 თებერვალს ირლანდია უმასპინძლებს საფრანგეთს, შოტლანდია კი — უელსს.

„სპორტპროგნოზი“, მეხუთე ტირაჟის პროგრამა (1-3 თებერვალი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)

		პროგნოზი			
1. „დინამო“ (რიგა) — „დინამო“ (მოსკოვი)	1.II	30	50	20	2
2. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „სოკოლი“ (კიევი)	1.II	70	20	10	1
3. „ტორპედო“ (უსტ-კამენოგორსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი)	1.II	10	40	50	1
4. „ტორპედო“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	2.II	60	20	20	1
5. ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი)	2.II	70	20	10	X
6. „დინამო“ (რიგა) — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	3.II	70	20	10	X

სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)

7. „ხაიანი“ (ალმა-ათა) — „ხიმბელმაში“ (ნოვოსიბირსკი)	3.II	40	40	20	1

იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში

8. „ბოლონია“ (ბოლონია) — „ინტერი“ (მილანი)	3.II	10	70	20	X
9. „ატალანტა“ (ბერგამო) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	3.II	10	60	30	1
10. „კალიარი“ (კალიარი) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	3.II	10	60	30	1

ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში

11. „ბეტისი“ (სევილია) — „ატლეტიკო“ (მადრიდი)	3.II	10	60	30	2
12. „ვალენსია“ (ვალენსია) — „ბარსელონა“ (ბარსელონა)	3.II	10	60	30	2
13. „რეალი“ (მადრიდი) — „სევილია“ (სევილია)	3.II	50	40	10	1

პროფესიული კრივის სამყაროში

„ათწლეულის მოკრივე“ — ლეონარდი.

იმ ჟურნალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომლებიც კრივზე წერენ, უკანასკნელი ათწლეულის № 1 მოკრივედ აღიარებულია 34 წლის რეი ლეონარდი. 80-იან წლებიდან მოყოლებულმა ლეონარდმა გამართა 38 მატჩი, აქედან 36 მოიგო, 1 წააგო და 1 ფრედ დაასრულა. აქედან 25-ჯერ გაიმარჯვა ნოკაუტით. ლეონარდმა ძალზე ბევრი გაიკეთა კრივის პოპულარობისათვის. საინტერესოა, რომ ლეონარდი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია... ოთხ სხვადასხვა კატეგორიაში.

მომდევნო ადგილები ჟურნალისტებმა მიაკუთვნეს მაიკ ტაისონს, რობერტო დურანს, ლარი ჰოლმსს, მარვინ ჰაგლერს, ევანდერ ჰოლიფილდს.

15 მილიონს მიიღებს

ხულიო სესარ ჩავესმა, რომელიც უძლეველ მოკრივედ ითვლება მსოფლიოში მსუბუქ წონაში, ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ამ კონტრაქტის თანახმად, ჩავესმა წელს 6 მატჩი უნდა გამართოს, რომლებშიც 15 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ლელოს“ ოცდაერთეულ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია. კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ბ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს უურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხელოვნების“ სტამბა. 380009, თბილისი, ბ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20